# ქულების მოგროვება საჭიროა კარგი თამაშით

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “ადმირალტეეცი” (ლენინგრადი) – 2:0 (0:0).

“ადმირალტეეცი”: დუსმანოვი, კურზენერი, სავეიკო, დემიდოვი, მოროზოვი, ჩერნოივანოვი, გულინი, ტენიაგინი, ივანოვი, ვარლამოვი, ვასილიევი.

“დინამო”: ს. კოტრიკაძე, ჩოხელი, სიჭინავა, ა. კოტრიკაძე, ხუნდაძე, ღოღობერიძე, გაგნიძე (დალაქიანი), ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი: ა. მუგურდუმოვი (კიევი).

ეს მოხდა მეორე ტაიმის მე–8 წუთზე, “ადმირალტეეცის” მცველების შეცდომის შედეგად ბურთი მიიღო მელაშვილმა, რომელიც სრულიად მარტო, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევიდა საჯარიმო მოედანში. ასეთ პოზიციას ფორვარდი ნატვრით თუ ინატრებს, თორემ თამაშში ძნელად რომ მიიღოს: მელაშვილის წინაშე მხოლოდ მეკარე დუსმანოვი იყო დარჩენილი. კარში დარტყმა ჯერ კიდევ ადრე შეიძლებოდა, მაგრამ მელაშვილმა უფრო ახლოს მისვლა ამჯობინა, გაიარა რამდენიმე მეტრიც, დაარტყა და… მეკარეს პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი.

ეს ეპიზოდი ჩვენ აღვწერეთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ თბილისის “დინამოს” ცენტრალური თავდამსხმელის უმწეობას კარში დარტყმებში. მელაშვილი მთელი თამაშის განმავლობაში პასიურობდა, იმალებოდა მოწინააღმდეგე მცველთა თავშეყრაში. იშვიათად, რომ მისმა გადაცემამ მიაღწიოს დანიშნულ მისამართს ან რამე სარგებლობა მისცეს გუნდს. და ესაა თავდასხმის ცენტრი, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს დინამოელთა შეტევითს ოპერაციებს!

მაგრამ მელაშვილი გამონაკლისს არ წარმოადგენდა ამ თამაშში. თბილისის “დინამომ” ძალზე ცუდად, უფერულად ჩაატარა თამაში და გამარჯვება, რომელიც მან მოიპოვა, მხოლოდ იმას უნდა მიეწეროს, რომ მისი მოწინააღმდეგე – ლენინგრადის “ადმირალტეეცი” კიდევ უფრო სუსტი გუნდია როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად.

მთელი მატჩის განმავლობაში მინდორზე მიმდინარეობდა “ა” კლასისათვის შეუფერებელი, უთავბოლო ბურთის ტრიალი. ორივე გუნდის მოთამაშეთა შეცდომებს თვლა არა ჰქონდა, რაც ხშირად იწვევდა მაყურებელთა ირონიულ, სავსებით სამართლიან სიცილს ტრიბუნებიდან.

პირველი ბურთი გატანილ იქნა დალაქიანის მიერ 57–ე წუთზე მესხის გარღვევის შემდეგ, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე სტუმრების მცველებმა და მეკარემ დაუშვეს უხეში შეცდომა, რომლის შედეგადაც ბარქაიამ ბურთი ბადეში გაგზავნა – 2:0.

ქულები, რა თქმა უნდა, მეტად საჭიროა თბილისის “დინამოსათვის”, მაგრამ გუნდმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ქულების მოპოვება საჭიროა კარგი თამაშით და არა მოწინააღმდეგის აშკარა სისუსტის წყალობით.

**რ. ქორიძე.**
**“ლელო”, 24 აგვისტო, 1958 წ.**